საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საგჯოს ორგანო.

ვაზი და ღვინო

წელიწადი პირველი.

№ 10 . გიორგობისთვე 1920 წ. № 10

შინაარსი:

1. ნეკროლოგი . . . . . ს. ჩოლაყაშვილი.
2. მოწინავე . . . . . ი. ანდრონიკაშვილი.
3. ღვინის წარმოშობა . . . . . მიხ. შალამბერიძე.
4. მოხსენება მთავრობის თავმჯდომარეს.
5. ცნობები . . . . . .
6. წერილები ადგილებიდან . . .

ჟურნალის გამოცემის პირობები:

ჟურნალი ჯერჯეროობით გამოვა ორ კვირაში ერთხელ, არანაკლებ 16 გვერდისა. თითო ნომრის ფასი საბჭოს მიერ განსაზღვრულია 50 მან. ამ ფასით ჟურნალის გამოწერა შეიძლება **სამი თვით.**

ჟურნალის რედაქცია იმყოფება საბჭოს ბინაზედ—თბილისი, ნინოშვილის ქუჩა № 5.

თ ბ ი ლ ი ს ი რუსთაველის ქუჩა № 33

კახეთი, სადგური „მუკუზანი," კახეთის რკინის გზა.

„კაკშირთ-კავშირი" დაარსებულია 1918 წელს. წესდება დამტკიცებულია თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ 1919 წლის 8 თებერვალს. „კავშირთ-კავშირში" შედიან ველისციხის, გურჯაანის და კარდანახის შემნახველ გამსყიდველი ამხანაგობანი 4400 წევრით, რომელთაც 4200 დესეტინა ვენახი აქვთ.

„კავშირთ-კავშირის" გამგეობა, მთავარი კონტორა და საწყობი მოთავსებულია საკუთარ ბინაზედ კახეთის რკინის გზის სადგურ მუკუზანთან.

საყურადღებოდ.

დამოუკიდებელ მიზეზების გამო დღეგანდლამდინ ჟურნალის გამოცემა შეფერხებული იყო ⁄ ამის გამო ზოგიერთა ცნობები დაგვიანებით არის მოთავსებული.

რედაქცია.

† ილია წინამძღვრიშვილი.

2 ენკენისთვეს ტფილისში გარდაიცვალა მცხოვანი საზოგადო მოღვაწე, საუკეთესო მამულიშვილთაგანი და მეურნეობისთვის თავდადებული პიროვნება ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი. განსვენებული 86 წლისა გადაიცვალა და მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მოანდომა უმწიკვლო საზოგადო მოღვაწეობას და ქართულ მეურნეობის აყვავებას.

ილია წინამძღვრიშვილს გატაცებით უყვარდა სამშობლო და მისი ღრმა რწმენით საქართველოს ტყვეობიდგან დახსნა შეიძლებოდა მხოლოთ ჩვენი ქვეყნის ნივთიერ უზრუნველყოფით, და ერთადერთ საშვალებას ამ მიზნის მისაღწევად მეურნეობის გაუმჯობესებაში ხედავდა.—გაუმჯობესებული მეურნეობა ჰქმნის ხალხთა სიმდიდრეს, ეს უკანასკნელი კი სულის სიძლიერეს და თავისუფლებისკენ მისწრაფებასაო.., ასე აზროვნებდა მცხოვანი ადამიანი და ამ მიზნით დაარსა მან თვის მამაპაპეულ. მამულში წინამწღვარიანთ-კარში სამეურნეო სასწავლებელი და მოახერხა, რომ ქართული ენის დევნის დროს ამ სასწავლებელში შეგირდებს ესწავლათ საგნები მშობლიო ენაზე; ეს ერთადერთი სკოლა იყო, სადაც ქართული ენა თამამად ისმოდა და ახალგაზდობას საშვალება ჰქონდა საგნები მშობლიო ენაზე შეესწავლა. ამ სამეურნეო სასწავლებელს, რომელსაც ფართო საზოგადოება წინამძღვრიანთკარის სკოლის სახელით იცნობს, აღიზარდა არა ერთი და ორი ჩვენს სასოფლო მეურნეობის ასპარეზზედ მოღვაწე. აქ, ამ სკოლაში, მეურნეობისადმი სიყვარულ ჩანერგილი ახალგაზდობა მიილტვოდა რუსეთისკენ, ყირიმში, რომ საგანი უფრო საფუძვლიანათ შეესწავლა და სამშობლოს მეტად გამოსდგომოდა. დღევანდელი მთელი რიგი სასოფლო მეურნეობის მოღვაწეთა ამ სკოლის პირმშონი არიან, შემდეგ სხვა უმაღლეს სკოლებში ნასწავლნი და ცხოვრებაში გამოცდილნი. განსვენებული ილია წინამძღვრიშვილი ამაყობდა იმით, რომ მისმა შექმნილმა სკოლამ ქვეყანას მისცა ისეთი მოღვაწენი და მუშაკნი სასოფლო მეურნეობაში, როგორიც არიან ს. ხუნდაძე, ნ. მაქარაშვილი, კ. ნაკაშიძე, მ. მამულაშვილი და ბევრი სხ. ილია წინამძღვრიშვილის ცხოვრება უდრიდა მწირის ცხოვრებას,—ყველაფერს რასაც კი შოულობდა თვის სათაყვანებელ სკოლას უკლებლივ აძლევდა საარსებოთ და თავისთვის კი შეშის ფულსაც არ იმეტებდა —ჩემს სკოლას, მათში მოსწავლე ახალგაზრდობას რვეულები და ფანქრები დააკლდებათო, და ამ ფიქრით გატაცებული, ღრმათ მოხუცებული ილია ნოტარიუსის სავარძელს არ სტოვებდა, რომ თვის პირმშო სკოლისთვის ორიოდე გროში ეშოვნა!..

ასეთი იყო პიროვნება ილია ივანეს ძე

წინამძღვრიშვილისა ცხოვრებაში და ასეთივე აღმოჩნდა მისი ანდერძი, რომელშიაც ერთათ ერთს მთავარ აზრს გამოსთქვამდა, რომ მისი ნეშთი დასაფლავებული ყოფილიყო მის შექმნილ სკოლის ეზოს ფარგლებში, რომ მის სულს ეტრიალნა მუდამ იმ ჭაბუკთა შორის, რომელნიც სასოფლო მეურნეობის ასპარეზისთვის ემზადებიან და რომელთა ნორჩ აზროვნებას მისი ძლიერი, სპეტაკი და მუდამ ჭაბუკი სული წამქეზებელად მოევლინებოდა.

ყველა ქართველს შეგვიძლიან ვიამაყოთ განსვენებულის, პიროვნებით, და ბედნიერია ხალხი, რომელსაც ილია წინამძღვრიშვილისთანა მოპირნახულე თანამემამულენი ჰყავს.

უკვდავი იქნება შენი სახელი, ძვირფასო მამულიშვილო, ყველა შეგნებულ მეურნის ხსოვნაში.

ს. ჩოლაყაშვილი.

თბილისი, ნოემბერი.

ჩვენი ეკონომიური გაჭირვება თანდათან გრძელდება და აუტანელი ხდება. ვერც სახელმწიფო და ერობა, ვერც ქალაქთა თვითმართველობანი და კერძო პირნი ვერ უძღვებიან პროგრესიულ გაძვირებით გამოწვეულს მოთხოვნილებებს. რაიმე ფინანსიური გეგმის შედგენა და მისი განხორციელება შეუძლებელი ხდება: დღევანდელი გეგმა ხვალ ჰკარგავს მნიშვნელობას და ამიტომ ყველა დაწესებულებების და კერძო პირთა წარმოება დამყარებულია მხოლოდ მოკლე ვადით გათვალისწინებულ მომავალზე... წინ მიგვიძღვის ყველა წარმოების გაჭირვება, კრედიტის გაძვირება, მისი ვადის შემცირება, აღებმიცემობის პირობების გაძნელება, ვაჭრობაში სპეკულიაციის გაბატონება, მრეწველობის დაქვეითება და სხვა და სხვა უბედურება.

ამას დაუმატეთ გარეშე პოლიტიკური პირობებით გამოწვეული მობილიზაცია, რომელსაც ზედ სდევს არაჩვეულებრივი აუარებელი ხარჯი, მრავალი მუშა ხალხის ფრონტზე გაწვევა და მათი წარმოებისაგან ჩამოშორება და სხვა ამ გვარი გარემოებანი, და ცხადათ დავინახავთ იმ სურათს, თუ რამდენად ღრმა, მიუწვდენელი და მრავალი მავნე ფესვები ჩაუყრია სამშობლო ნიადაგზედ იმ ძალებს, რომელნიც დაუყონებლივ მიგვაქროლებენ ეკონომიურ დაღუპვი აკენ.

გამოსავალი ან გარდასახვევი გზა არსად მოსჩანს. მოქალაქე ფსიხოლოგიურათ გრძნობს ამ გარემოებას და როგორც მორევში ჩათრეული აღარ ზოგავს თავის მეზობელს: შეშინებული და დამშეული ან და ტიტველი იგი ცდილობს რაც შეიძლება მეტს გამორჩეს დღევანდელ დღეს.

ყველასათვის ცხადი და უკამათო უნდა იყოს ის, რომ ერთად ერთი გზა, რომელსაც შეუძლია გამოგვიყვანოს ამ გაჭირვებიდან, ეს არის გზა მუშაობის გაძლიერებისა, წარმოების განვითარებისა, მრეწველობის აღორძინებისა, სავსებით ყველა მიწების დამუშავებისა, მათი ნაყოფიერობის გაძლიერებისა და ყველა ამ რიგ საშუალებათა.

რადგან ეს ასეა და რადგან საქართველოს ეკონომიური ძალა, მიუხედავად მისი სიმდიდრისა ტყით და მთამადნეულობით, ჯერჯერობით დამყარებულია სასოფლო მეურნეობაზედ, ცხადი უნდა იყოს

აგრეთვე ისიც, რომ უმთავრესი ჩვენი ყურადღება და ძალები სასოფლო მეურნეობის განვითარებაზედ უნდა იყოს მიმართული. ღვინო, პური, მატყლი, აბრეშუმი, თამბაქო, ყველანაირი ხილი, საქონელი და სხვა—აი ჩვენი უმთავრესი სიმდიდრე. მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწის მოსავალს გავაძლიერებთ იმდენად, რომ მოგვეცემა საშუალება არა მარტო დავაკმაყოფილოთ ჩვენი საკუთარი მოთხოვნილებანი, არამედ ზედმეტი ღირებულობის საქონელი შევქმნათ და გავიტანოთ საზღვარ გარეთ,—მხოლოდ მაშინ დავადგებით ცხოვრების გაიაფების გზას.

სამწუხაროთ ჩვენი სახელმწიფოებრივი ეკონომიური პოლიტიკა სხვა მიმართულების გეზს მისდევს. საქართველოს საუკეთესო შვილების ცოდნა, ენერგია და ყოველგვარი ძალ-ღონე მიმართულია ჩვენი ეკონომიური უძლურების მოსარჩენად სხვა და სხვა პოლიატივების და სოციალისტური რეცეპტების გამოგონებით. მილიონები იხარჯება სხვა და სხვა დაწესებულებებზედ ცხოვრების ყველა დარგის სარეგისტრაციოთ და სახელმძღვანელოთ და ამავე დროს თითქმის არავითარი ნაყოფიერი და სასარგებლო არ კეთდება იმ ნიადაგზედ, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს ეკონომიურ კეთილმყოფობას.

თუ არ ითქმის, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა სრულიად დავიწყებული და მიტოვებულია, ეს მაინც ცხადზედ უცხადესია, რომ იგი მოკლებულია სათანადო ყურადღებას, დახმარებას და მფარველობას.

იმ დროს, როდესაც ვაჭარს და მრეწველს ეძლევა სხვა და სხვა გვარი უფლება და დახმარება, როდესაც მას ჰყავს თავისი წარმომადგენელები სახელმწიფო ბანკში, ეკონომიურ საბჭოში და სხვა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებებში,—სოფლელი, მიწაზედ მომუშავე, მოკლებულია ყველა ამ უფლებებს; მისი ხმა არსად ისმის, მას არ ჰყავს თავისი ვექილი.

ეს გარემოება ჰქმნის ქალაქის მიერ სოფლის ინტერესების დავიწყებას, უკუგდებას, დაშორებას. ქალაქის ვაჭარი და სოფლელი ერთმანეთის ჯიბრით აძვირებენ თავის საქონელს, იჩენენ ერთმანეთის უნდობლობას და ჰქმნიან იმ ატმოსფერას, რომლის შედეგათ თანდათან მწვავდება უამისოთაც გამწვავებული ცხოვრება.

ამის გარდა, დადგა ის ხანა, როდესაც ცალკე პიროვნებას თითქმის დაკარგული აქვს რაიმე მნიშვნელობა,—მხოლოდ კოლექტივს, მის მოთხოვნილებას და საჭიროებას, საზოგადოთ, აქცევენ ყურადღებას და ამ გარემოებას უნდა გაეწიოს ანგარიში.

მიმდინარე ხანაში შეუძლებელია კერძო—განცალკევებული მუშაობა,—საჭიროა სასოფლო მეურნეობაშიაც გაერთიანებული ძალების მოკრეფა, გაერთიანებული წარმომადგენლობა, რადგან მხოლოდ ამ რიგად თვითმართველობის პრინციპზედ აგებული ორგანიზაციის საშუალებით შესაძლო გახდება, ერთის მხრით, მძლავრი მრავალ გვარი თვითდახმარება და, მეორეს მხრით, სახელმწიფო დაწესებულებებში საპატიო ადგილის მოპოვება.

ამიტომ ყველა სოფლელი მეურნე დიდის კმაყოფილებით და სიხარულით უნდა მიეგებოს ქვემოთ, ამ ნომერში მოთავსებულს მეღვინე—მევენახეთა ყრილობათა საბჭოს დადგენილებას და მის მიერ გადადგმულს ნაბიჯს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ყველა დარგის წარმომად-

გენელთა ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეუდგა ცენტრალურ ორგანოს განხორციელებას—სასოფლო მეურნეობის პალატის სახით.

შემდეგ ნომრებში მკითხველი იპოვის დაწვრილებითს ცნობებს პალატის შემადგენლობის და დანიშნულების შესახებ, აქ-კი ჩვენ გვინდოდა მიგვექცია ყურადღება იმ გარემოებაზედ, თუ რა მდენად ეს ახალი დაწესებულება სასურველს და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სამშობლო სასოფლო მეურნეობისათვის.

ი. ანდრონიკაშვილი

ღვინის წარმოშობა

თუ რა გავლენას ახდენს ჰაერი კოდაში შენახულს ღვინოზე, ამის შესახებ გაკვრით გვქონდა ცოტა რამ მოხსენებული. აქ მას გავიმეორებთ მოსაგონებლად და ცოტა რამეს კიდევ დავუმატებთ, რომ სრული წარმოდგენა გვქონდეს ამ საკითხის შესახებ.

ხეში არსებულ სვრეტოების შემწეობით ჰაერი ჩადის კოდაში და სამაგიეროდ ამავე სვრეტოებიდან გამოდის გარეთ ჰაერში ღვინოში არსებული, დუღილის დროს უმთავრესად შაქრიდან გაჩენილი ნახშანგი (CO_2). ამ მოძრაობას ხელს უწყობს მარნის სითბოს და აგრეთვე ჰაერის წნევის (დაწოლის) ცვლილება. როცა სითბო მატულობს და ჰაერის წნევა კლებულობს, ღვინოს სცილდება ნახშანგი (CO_2) და კოდიდან გარეთ გამოდის; ხოლო როცა სითბო მარანში კლებულობს და ჰაერის წნევა მატულობს, მაშინ ჟანგბადი (ჰაერში არსებული) შედის კოდაში და იხსნება ღვინოში. ამას გარდა ჰაერის ჟანგბადს შემთხვევა ეძლევა ღვინოს გაერიოს გადაღების დროს. და უმთავრესად სწორედ ამ დროს ერთვის ჰაერი ღვინოს, თორემ მხოლოდ სვრეტოების შემწეობით მოქმედების ამარად რომ დარჩეს ღვინო, მას ნამეტანი დიდი დრო დასჭირდებოდა დასამწიფებლად. მაშასადამე ღვინის გადაღებას მხოლოდ ის კი არა აქვს მიზნად, რომ მას ნალექი მოსცილდეს, არამედ ისიც რომ მასზედ ჰაერმა იმოქმედოს და აგრეთვე ზედმეტად ღვინოში არსებული ნახშანგი (CO_2) განშორდეს. ამით რასაკვირველია ღვინის გემო და თვისება იცვლება. მოკლე დროს განმავლობაში ან, თუ ღვინო უკვე ცოტათი ხანშია შესული, რავდენიმე დღის შემდეგ გადადებული ღვინო იმღვრევა და ჟანგბადის ზემოქმედების გამო ღვინის ზოგიერთა შემადგენელი ნაწილები უხსნელი ხლება და იწყებს დალექვას.

სანამ სიმღვრივე არ დაილექავს და ღვინო არ დაიწმინდება, იგი ცხადია სასმელად არ გამოდგება.

პირველ გადაღების დროს საჭიროა რაც შეიძლება მეტი ჰაერი გაერიოს ღვინოს, რადგან ამ დროს ხშირად თვით დუღილიც კი არ არის ხოლმე დამთავრებული, შემდეგში კი თანდათან სიფრთხილით უნდა გადაღება, რადგანაც მოძველებულს ღვინოებს ზედმეტმა ჰაერის ჟანგბადმა შეიძლება აწყინოს კიდეც. ამის მიხედვით ღვინოს ხანმაღლიდან ასხამენ ისეთნაირად, რომ წინწკლებად დაიფრქვეს და იქნებ აქაფდეს კიდეც, ხან კი მილების ტუმბოების შემწეობით, აგრეთვე შეჯგუფულ ნახშანგით (CO_2) გადიღებენ ერთ კოდიდან მეორეში. განსაკუთრებით ძლიერად მოქმედობს ღვინოზე ჰაერი და უცვლის მას გემოს

მაღალ თბილისანდზე (ტემპერატურაზე), სიცხეში. ამ დროს ეთვისება მას ერთგვარი დაჟანგვის გემო, რომელსაც ჰაერის გემოს ეძახიან. ხანდახან ამისთანა ღვინოებს ერთგვარი პურის გემოც ეძლევა, განსაკუთრებით სამხრეთ ქვეყნების ღვინოებს. რადგანაც ზოგს მოსწონს ღვინოში ასეთი გემო განგებაცა სცდილობენ მის გაჩენას, რისთვისაც ნაკლულ კოდებს მზეში გამოაგორებენ ან მზისაგან გახურებულ თუნუქის სახურავებიან სხვენებში ათავსებენ ხანგრძლივად.

თუ ღვინის რომელ შემადგენელ ნაწილებზე მოქმედობს ჰაერის ჟანგბადი, ეს საკითხი ჯერ სავსებით არ არის გამოკვლეული, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მისი გავლენით იცვლება ღვინოში არსებული ცილობი ნივთიერებანი და ეგრედ წოდებული ქლოროფილი, მცენარეების თვის მწვანე ფერის მიმცემი სხეული. ამ უკანასკნელ ნივთიერების, ქლოროფილის ცვლილებაზეა დამყარებული ის ხშირად მშვენიერი ოქროს ფერი, რომელიც თეთრს ღვინოებს საამურ შესახედავად ხდის და რომელიც ასეთს ფასსა სდებს რეინის ღვინოებს.

განსაკუთრებით მუქი ფერი ეძლევა ღვინოს და ჰაერის მოქმედებით ლექი ჩნდება, როდესაც დამპალი და გაფუჭებული მარცვლები ბევრია მტევანზე. ასეთ მოვლენასთანა გვაქვს ჩვენ საქმე როგორც თეთრს აგრეთვე წითელ ღვინოებში, რის გამოც ნალექის დაწმენდის შემდეგ ღვინოები უფრო ღია ფერისანი ხდებიან. თუ ყურძენი დაკრეფის უმალვე ისე დაიჭყლიტა და დაიწურა, რომ ჰაერს ნაკლები დრო და გარემოება მიეცა მასზე მოქმედებისათვის, ტკბილი უჭაჭოდ დადუღდა და ახალ ღვინის გადაღების დროს ჰაერი ნაკლებად გაერია, მაშინ ღვინო მომწვანო ფერისა დგება, როგორც ამას ჩვენ სახელმწიფო მამულების ღვინოებიდანა ვხედავთ, ღრომლებსაც ევროპიულ წესით აყენებენ. ამისი მიზეზი, როგორცა ვსთქვით, ის არის, რომ ჰაერი არ უდგება და ვერა ჟანგავს ღვინოს იმ შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც ფერს ყვითლად და უფრო მუქადაც (თეთრს ღვინოებში) იცვლიან ხოლმე; და რადგან ასეთი ღვინოები უჭაჭოდაც დგებიან, მათ იმისი შემთხვევაც არა აქვთ, რომ ჩენჩოს და კლერტს გამოაცალონ და გახსნან მათში არსებული მფერავი ნივთიერებანი. ამ ფერის შეცვლის (გამუქების) საწინააღმდეგო საშუალებად ითვლება გოგირდის ჩაბოლება იმ ჭურჭელში, რომელშიაც ღვინის გადაღებას აპირებენ; განსაკუთრებით იმისთანისას, რომელსაც ეს სენი უკვე შეჰპარვია.

მაღალ თბილისანდის (ტემპერატურის) გავლენა ღვინოზე. ხანდახან ღვინოს შეეპარება ხოლმე ზოგიერთა ისეთი არსებანი (როგორც მაგ: ძმრის მცია, ბრკე და სხვ.), რომლების გამრავლებაც ღვინოს დიდ ზიანს უქადის. ისიც შესაძლებელია რომ ღვინო სავსებით საღი იყოს, მაშასადამე მასში მხოლოდ სასურველ ღვინის დედის მეტი სხვა არაფერი ერიოს, მაგრამ პატრონს ამ ღვინის ჩქარი დაწმენდა, მისი ზოგიერთა მეტ ცილობ ნივთიერების დალექვა და სწორედ ისე შენახვა სურდეს, როგორიც ის ამ დროს არის, მაგალითად ტკბილი დარჩეს. ამისთანა შემთხვევაში ღვინოს გაათბობენ ხოლმე რავდენიმე წუთის განმავლობაში 70-80°C-მდე, ამ სითბეზე ღვინოში არსებული

თითქმის ყველა გვარი დაბალი არსებანი (მკიები) იხოცებიან.

რადგან ამ გვარი გამოკვლევა პირველად საფრანგეთის გამოჩენილმა მეცნიერმა **პასტერმა** მოახდინა, ამიტომ ამ საშუალებას **პასტერიზაციას** ეძახიან. პასტერიზაცია არ უნდა მოხდეს თავახდილ ქვაბებში, თორემ მას ამ შემთხვევაში გემო უფუქდება ჰაერის მოქმედების გამო. ამისთვის განსაკუთრებული მანქანები არსებობს, რომლების შემწეობითაც ეს უსიამოვნო მოვლენა თავიდან აცილებულია. პასტერიზაცია შეიძლება მოხდეს, რასაკვირველია, აგრეთვე პირდაცულ ბოთლებშიაც. როგორც დაკვირვებანი გვიჩვენებენ, ეს საშუალება სრულებით არას ავნებს ახალ ღვინოებს; ხოლო რაც ძველ ღვინოებს შეხება, მისთვის კი სასურველად არ მიაჩნიათ. ამგვარად ჩვეპასტერიზაციაში ისეთი საშვალება გვაქვს, რომლითაც შეგვიძლია ღვინო დავიფაროთ ავადმყოფობისაგან, გადაბრუნებისაგან ან ჩუმ დულილის გაგრძელებისაგან, მაგრამ ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საიდანმე ხელ ახლად არ შეეპარა აღნიშნულ მოვლენების მიზეზები.

(გაგრძელება იქნება)

მიხ. შალაბერიძე

მოხსენება მთავრობის თავმჯდომარეს.

(კახელ მევენახეთა კოოპერატიული-საზოგადოება „კახეთი"ს გამგეობისა).

ჩვენი მეღვინეობა საშინელ კრიზისს განიცდის. პოლიტიკური პირობების შეცვლის გამო მას დაეკარგა ის მცირე ბაზარიც-კი, რომელიც ჰქონდა, როდესაც საქართველო შეადგენდა რუსეთის ნაწილს. საქართველოში მზადდებოდა შვიდ მილიონამდე ვედრა ღვინო, რომლის $^3/_4$ ისმოდა ადგილობრივ, გარეთ-კი გაჰქონდათ ერთი მეოთხედი. საუბედუროთ ფართო მწარმოებელთა შორის აქამდისინ გამეფებულია ძველი მამა-პაპური წესი ღვინის დაყენებისა ქვევრებში, ჭაჭაზედ, რის გამოც მზადდება მეტათ-ნაკლებად გამძლე და ევროპიელთა გემოვნებისთვის მიუღებელ გემოვნების ღვინო. ყოფილ რუსეთში საქართველოს მეღვინეობას მფარველობა ჰქონდა იმ სახით, რომ საზღვარგარეთიდან შემოტანილ ღვინოზედ უდიდესი ბაჟი იყო დადებული, ცხრა მანეთი ვედროზედ, რორესაც ადგილობრივი ღვინოები ფასობდენ 1 მ. 20 კაპ.-დან სამ-მანეთამდე და უცხოეთიდან შემოტანილ ღვინოს ვერ შეეძლო კონკურენცია გაეწია ჩვენ ღვინოებისათვის იმ დიდ ბაზარზედ, რომელსაც წარმოადგენდა მთლიანი რუსეთი.

ეხლა-კი ჩვენი მეღვინეობა უკიდურეს პირობებშია ჩაყენებული: ჩვენ ღვინოს რუსეთში გასავალი აღარ აქვს და მთელი მისი რაოდენობა, რომ არ დაეცეს წარ-

მოება, უნდა გასაღდეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებშივე; მაგრამ აქაც მეღვინეობა განიცდის კონკურენციას განჯიდან და ერევნიდან შემოტანილ ღვინოს მხრივ, რომლის ღირსება შედარებით ქართლუკ-კახურ ღვინოსთან მეტათ დაბალია და მცირე ფასებშიაც იყიდება. მართალია, არსებობს შემოტანილ ღვინოზე მთავრობის მიერ თადებული ბაჟი, მაგრამ იგი იმდენაი მცირედია (ორმოცი მანეთი ვედროზე) შედარებით არსებულ ფასებთან, რომ არაფერ გავლენას არ ახდენს ჩვენი ღვინოს იმათთან თანასწორ პირობებში გასაღებაზე.

შესაძლებელი იყო ბაზარი მოგვენახა ევროპიულ ქვეყნებში, მაგრამ ჩვენებურ წესით დაყენებულ ღვინოს ევროპის ბაზარზედ სრულებით გასავალი არა აქვს. ჩვენ ამაში დავრწმუნდით ნიმუშების გაგზავნის შემდეგ ჩვენი მისიების საშვალებით ლონდონში, სტამბოლში, იტალიაში და გერმანიაში, საიდანაც მოგვვიდა პასუხი, რომ ზოგიერთ სახელმწიფოებში შეიძლება გასაღდეს ჩვენი ღვინო, მხოლოთ როდესაც იგი დაყენებული იქნება ევროპიული წესით.

ჩვენ მეღვინეობის ეხლანდელ მდგომარეობას რომ სახელმწიფოებრივ მეურნეობის თვალსაზრისით შევხედოთ, საზარალო დარგათ უნდა ჩაითვალოს. იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში ასეთი ინტენსიური წარმოება, როგორც მეღვინეობაა ხალხის კეთილდღეობის მძლავრ წყაროს, შეარგენს. მოგეხსენებათ, რომ მეღვინეობას ესაჭიროება მთელი რიგი წამლეულობა: ბაბი-ამანი, გოგირდი, პარიზის მწვანე და იარაღები, რომლებსაც ჩვენი რესპუბლიკა საზღვარ-გარეთ იძენს და ყველა ამის ხარჯი, ეხლანდელ ფასებით სამას მილიონამდე, იძულებულ ვართ დავფაროთ მეურნეობის სხვა დარგების შემოსავლიდან; და იმის მაგივრათ, რომ მეღვინეობამ უფრო გაძლიეროს ჩვენი სყიდვა-შეძენის უნარი ევროპის ბაზარზე, იგი საზარალო ხდება და სცემს ჩვენს ვალიუტას, რადგანაც მთელი რაოდენობა ღვინისა ისმის ადგილობრივ. საშვალებაც რომ მოგვეცეს და რუსეთი გადაიქცეს ჩვენი მეღვინეობის ბაზრათ, მაშინაც ჩვენი მეღვინეობა ცუდ პირობებში იქნება ჩამდგარი, რადგან ევროპის ღვინო და ჩვენი ღვინო ერთ პირობებში იქნებიან ჩაყენებულნი და ჩვენი მეღვინეობა მფარველობას მოკლებული, კონკურენციას ვერ გაუწევს ევროპის ღვინოს.

ამ გარემოებას არ შეიძლებოდა არ მიქცეოდა თვით მეღვინეთა ყურადღება, რომლებიც არსებულ პირობების ძალით მეტის-მეტად უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი, და მათ საფიქრებლად შეიქმნა, გამოენახათ საშვალებანი, რათა დავახწიოთ კრიზისს თავი და შევინარჩუნოთ ეს ძვირფასი დარგი მეურნეობისა.

კახელ-მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი“ ს წევრთა საგანგებო კრებამ გაითვალისწინა რა ყველა ეს, დაადგინა ამ შემოდგომაზედვე დაიწყოს ნაწილობრივ მაინც ევროპიულ წესით ღვინის დამზადება და ბოლოს სრულიად გადავიდეს ამ წესით დამზადებაზედ. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ამ საშვალებით შესაძლო გახდება შევინარჩუნოთ ჩვენი მევენახეობა, გავაუმჯობესოთ ღვინის წარმოება და მეღვინეობას მივცეთ იმისთანა მიმართულება, რომ იგი არამც-თუ არ წარმოადგენდეს სახელმწიფო მეურნეობისათვის საზარალო დარგს, არამედ შეადგენდეს ერთ უმთავრეს შემო-

სავლის წყაროს. საზოგადოებას განზრახვა აქვს, ამ რიგად დამზადებული საკალიუტო საქონელი, გადასცეს მომარაგების სამინისტროს განკარგულებაში, რომელიც განაგებს საზღვარგარეთ მეურნეობისთვის საჭირო საქონელის შეძენას.

საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ამგვარი რეფორმა დიდიხანია უნდა მომხდარიყო ჩვენ მეღვინეობაში. ჩვენს მეღვინეობას დიდიხანია უნდა მოეპოვებინა შესაფერი ადგილი უცხო ქვეყნების ბაზარზე. და, დასასრულ, ამ გვარად წარმოების გარდაქმნას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში და მთავრობის ყურადღებასაც დაიმსახურებს.

განზრახულ მიზნის განსახორციელებლად კოოპერატიულ საზოგადოება „კახეთ“-ს უკვე აქვს მიღებული შესაფერისი ზომები: შარშან შეიძინა თბილისში სარდაფი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 30,000,000 მანეთს და რომელშიაც თავსდება ასი ათასი ვედრო ღვინო-სოფელ კარდანახში შეიძინა დესეტინა ნახევარი მიწა, სადაც განზრახვა აქვს გააკეთოს მომავალში სარდაფი და ჯერ-ჯერობით კი აპირებს ააშენოს ღვინის საყენი და მასალების და ინვენტარის საწყობები, გაჰყავს რკინის გზის ლიანდაგის შტო; თელავში აქვს შეძენილი. საწყობები ღვინისა და მასალისა, და ამგვარივე საწყობები და საწურავები ჰსურს გააკეთოს მომავალში კახეთის სხვა და სხვა რაიონებშიც. საზოგადოება „კახეთ“-ს სწამს, რომ ყველა ამისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ მეღვინეშწარმოებელთა შეკავშირებით, როგორც ეს მოხდა ევროპის სოფლის-მეურნეობის განვითარებაში, და ამისთვის აქვს მიღებული ზომები სპეციალისტთა-ინსტრუქტორთა დახმარებით გაამრავლოს წევრთა რიცხვი, რომლებიც შესძლებენ დაამზადონ საუკეთესო მასალა ევროპიულ ღვინის დასაყენებლად. ყველა ამ განზრახვათა განსახორციელებლად საჭიროა დიდი თანხა, რომლის გაღებაც საზოგადოებას არ შეუძლიან თავისი მიმდინარე ოპერაციებიდან.

რადგანაც საზოგადოების მიერ განზრახულ გეგმის გახოციელებას აქვს უაღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, საზოგადოება „კახეთი“ სთხოვს მთავრობის თავმჯდომარეს აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა მოგვეცეს ას ოცი მილიონი მანეთი ხანგრძლივი სამპროცენტიანი სესხი ხუთი წლის ვადით.

სესხის უზრუნველ-საყოფად საზოგადოება გადასცემს მთავრობის განკარგულებაში მთელ დამზადებულ ევროპიულ წესით ღვინოს და დაუგირავებს იმ ოცი ათას ვედრო (20.000) ღვინის ნაშთს, რომელიც აქვს მას ა. წ. 1 ნოემბრისათვის.



ცნობები.

— მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს და მეცხვარე-მესაქონლეთა ყრილობათა საბჭოს თავმჯდომარეობით შესდგა საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სასოფლო მეურნეობის პალატის დასაარსებლად, რომლის წესდებაც უკვე შემუშავებულია და ამ დღეებში წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზედ გადაწყვეტილია მოეწყოს მეღვინეობის და მევენახეობის კათედრები. ამ მიზნით მიწვეულნი არიან მეღვინეობის კათედრაზედ ღვინის ქიმიის ლექციების საკითხავად დამსახურ. პროფეს. ვ. გ. მელიქიშვილი, მეღვინეობის და მესარდაფეობის საკითხავად პრივ. დოცენტი დონის პოლიტეხნიკური ინსტიტუტისა ფილატოვი და მევენახეობის კათედრაზედ ს. მ. ჩოლაყაშვილი. მეღვინეობის და მევენახეობის კურსი წაეკითხებათ მე-IV კურსის სტუდენტებს.

— მიწათ მოქმედების სამინისტრომ მიიღო საფრანგეთიდგან 12,000 ფუთი გოგირდი „ბუდა" უმაღლესი ხარისხისა. გოგირდი განზრახულია გადაეცეს საზოგადო დაწესებულებათ მევენახეთა შორის დასარიგებლათ; რადგან საზღვარ გარეთის ვალიუტამ მეტათ აიწია, გადაწყვეტილია იმ დროს გადაეცეს ეს გოგირდი საზოგადო დაწესებულებათ, როცა ვალიუტის ღირებულობა საგრძნობლათ დაიწევს, რომ მევენახეთ ძვირი არ დაუჯდეთ ამ მასალის შეძენა. გოგირდი ნაყიდია 25 ფრანკათ ფუთი.

— ჭიათურის შავი ქვის მრეწველ საქციო საზოგადოებისაგან მიწათ მოქმედების სამინისტრომ შეიძინა 33,000 ფუთი ფხვნილი შაბიაბანი უმაღლესი ხარისხისა, რომელიც ინგლისიდგანაა შემოტანილი. შაბიაძანი გადაეცა გასანაწილებლად საზოგადო დაწესებულებათ და მოსალოდნელია, რომ ყველა ხარჯების გამოკლებით, მევენახეს ფუთი ამ შაბიამნისა 900 მანეთზედ ძვირათ არ დაუჯდება.

— მიღებული ცნობების მიხედვით, ქართლში წრეულს ძალიან გაფუჭდა ვენახების მოსავალი სოკოს ავადმყოფობათა გამო. მოსალოდნელი არ არის ერთი მეოცედი ჩვეულებრივი მოსავლისა. ასეთი მარცხი აიხსნება მეტათ ნოტიო ამინდებით და საწამლავ მასალების სიცოტავით და სიძვირით.

— რთველები წრეულ საქართველოს ყველა კუთხეში მეტათ მოიგვიანებენ ცივი და ნოტიო ამინდის გამო; მოსავლის ხარისხიც ამ მიზეზების გამო შუათანაზედ ნაკლებია მოსალოდნელი.

— კახელ მევენახეთა „კავშირთ-კავშირის" ინიციატივით, საქართველოს კოოპერატიულ ბანკში მიწვეული იყო თათბირი მთავრობის და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელების თანდასწრებით, რომელზედაც მოისმინეს საბჭოს წევრის გ. ალ. წინამძღვრიშვილის მოხსენება, მევენახეთა საჭიროებათათვის სახელმწიფო ბანკიდან კრედიტის გაფართოების საჭიროების შესახებ. თათბირმა დაადასტურა საჭიროება კრედიტის გაფართოებისა და დაავალა აგრონომ დ. ვ. გედევანიშვილს და ს. მ. ჩოლაყაშვილს სათანადო მოხსენება დაუმზადონ საბჭოს სახელმწიფო ბანკისადმი თხოვნის აღსაძვრელად.

— საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახელმწიფო ბანკის მიმართ, რათა მან დაგირავებული ღვინო დაუზღვევლათ მიიღოს, რადგან ეს ოპერაცია აფერხებს საქმეს, აძვირებს კრედიტს და საერთოთ ცეცხლისგან ღვინის დაზღვევა მიზანშეუწონელია.

ნერილები ადგილებიდან.

მარიამობისთვე.

გურჯაანის მევენახეობა და მეღვინეობის რაიონში შედის რვა თემი (საქობო, ვაჭარი, ანაგა, კარდენახი, ბაკურციხე, გურჯაანი, ახაშენი, და ველის ციხე), სად-

აც არის დანიშნული ერთი ინსტრუქტორი სპეციალისტი სამაზრო ეროობის გან და ერთიც კ. აბაშიძე ეხლა იქნა დანიშნული მევენახეთა კავშირისაგან. რაიონი როგორც მოგეხსენებათ დიდია და ინსტრუქტორი ვერა სწვდება მთელს რაიონს. ინსტრუქტორი მოკლებულია ეროობისაგან ყოველგვარ მიმოსვლის საშვალებას, ექვსი თვის განმავლობაში ცხენიც კი ვერ უშოვეს მას. მუშაობა კი დიდია. ამასწინეთ გადავიარეს. ჩუმლაყის ამერიკულ ვაზის სანერგეები, სადაც ერთმა მუშამ გვითხრა გია მამიაშვილის ვენახში ვაზი სულ გადახმაო. მე და ჩუმლაყის სანერგის გამგე მაშინვე გავემგზავრეთ ვენახისკენ. მართლაც ვაზი სულ გაყვითლებულიყო. ამოვიღეთ ხუთი ძირი სხვადასხვა ალაგას და გავშინჯეთ გამადიდებელი შუშით, რის შედეგიც იყო ფილოქსერის აღმოჩენა. ვენახი შეადგენს 1 დესეტინას და $^1/_4$ გამხმარია. შემდეგ ფილოქსერა აღმოვაჩინე ს. გურჯაანში ნასყიდა გოგოლაშვილის ვენახში, რომელმაც გადმომცა, რომ შარშან გამიხმა $^3/_4$ დესეტინისა და პური დავთესეო. იმავ სოფელში აღმოჩნდა ფილოქსერა ვანო ელიზბარიშვილის და გია კუპრიშვილის ვენახში. ნ მკათათვეს ჩემთან მოვიდა შაქრო ელიზბარაშვილი და მთხოვა წავყოლოდი ვენახის გასაშინჯათ. ვენახს აშკარათ ეტყობოდა ფილოქსერის ნიშნები.

ამოვიღე სამი ძირი ვაზი სხვა და სხვა ადგილას და აქაც აღმოჩნდა ფილოქსერა, რომელიც ვაჩვენე დამსწრეთ გამადიდებელი შუშით. ერთი სიტყვით ფილოქსერა მოდებულია მთელ რაიონში და, თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული, განადგურება მოელის მთელ კახეთის მევენახეობას. ერთათ ერთი სანერგე არის მთელ რაიონში ჩუმლაყისა, სადაც სხვა და სხვა მიზეზების გამო მარტო ორმოციათასი ნამყენი გაკეთდა წელს. მოთხოვნილება დიდია ნამყენისა, რადგანაც ყველა მცხოვრები მიხვდა, რომ ერთად ერთი საშვალება არის ამერიკული ვაზზედ ჩვენი ვაზის დამყნობა. ყურძნის მავნებელ ჭიასთან ბრძოლა სწარმოებს კარგათ. კარდანახში იმყოფება სპეციალისტი ვინოკუროვი და გურჯაანში ეროობის ინსტრუქტორი. მხოლოთ ამ ერთი კვირის წინათ იქნა მომზადებული და გაგზავნილი ხუთი სტუდენტი დანარჩენს თემებში. ე. ი. თითო თემს ყავს ინსტრუქტორი ყურძნის მავნებელ ჭიასთან საბრძოლველად. ყურძნის მოსავალს ჯერჯერობით ძალიან კარგი პირი უჩანს და ჭიაც იმნაირად არ არის წრეულს მოდებული როგორც მოველოდით.

გურჯაანის რაიონის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტრუქტორი

ე. ნაჭყებია.

———

ახალგორის რაიონი (დუშეთის მაზრა). ჩვენი რაიონი ძალიან არის დაქვეითებული მევენახეობის მხრივ. ჯერ ისედაც ამ რაიონში ნაკლებათ არის გაშენემული ვაზი და, თუ ყოფილა, ისიც ძველი მამაპაპის დროისა, ახალი კი არაფერი გაკეთებულა. ამ ძველ ვაზსაც გაჩენილი აქვს სხვადასხვა ავადმყოფობა, უფრო მეტ წილად ფილოქსერა, რომელიც სამუდამოთ სპობს ადგილობრივს მევენახეობას. მდგომარეობა წლევანდელი ასეთია: ზამთარი იყო დიდი, თოვლიანი, რის გამოც ხალხმა ნაკლებათ დაიმუშავა ვენახები; გაზაფხულიც ნოტიო დადგა, წვი-

მებიანი, რამაც თითქმის ნახევარ ივნისამდე, გასტანა. შემდგომ დაიწყო ბშრალი დღეები. გაჩნდა ვენახებში ობი და მოუწამლავი ვენახების მოსავალი მთლათ მოსპო. საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ამ დაქვეითებულს რაიონს, რათა ცოტა ოდნათ მაინც ფეხზედ დადგეს იგი მეურნეობის მხრივ.

ოძისის საერობო მამულის გამგე

ა. ქვლივიშვილი.

— —

წინამძღვრიანთ კარი. მევენახეობის მდგომარეობა ჩვენს საგურამოს მხარეში (დუშეთის მაზრაა) ძალიან უნუგეშოა და თავისუფლად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დალუპვის კარზედ არის მიმდგარი, — ერთი სიტყვით, ჯერ უნდა შევქმნათ ახალი ვენახები და მაშინ მოვაწყოთ საჭირო ცნობების მოწოდება. ეხლა აქ ვენახები აღარ არის, გარდა ჩვენი სკოლისა, სადაც ვენახი ნამყენია და კარგათაც გამოიყურება. ვენახების მოსპობის მიზეზი უმთავრესად ფილოქსერა იყო და მისი ერთად ერთი წამალი კი ეს ნამყენი ვაზია, რომელიც ჩვენში, სამწუხაროთ, სრულიათ არ იშოვნება, თუმცა ხალხში არის სურვილი მისი გამრავლებისა.

წლევანდელი წელიწადი ვენახებისთვის ძალიან ცუდი გამოდგა. ვაზიანები თუ არის სადმე, ისიც დახრუკული და გაფუჭებული გამოიყურება ობისა და ნაცრისგან. საღ მტევანს იშვიათად ნახავთ. ვენახებში ობის გამრავლებას ხელს უწყობდა ნესტი, გადაჭარბებული წვიმები. ნიადვრებმა დააზიანა და მთლად წაიღო სოფელ ჯიღაურაში 15 დღიურამდე ბაღ ვენახი, ვაზი წალეკა და დამარხა. სეტყვა ჩვენკენ არ ყოფილა. ამნაირათ წელს ღვინის მოსავალს არ მოველით სრულიად ჩვენში.

წინამძღვარიანთ კარის სკოლის გამგე

გორგამაშვილი.

— —

წინანდალი (თელავის მაზრა). ვენახებს ნოტიო წლის გამო, მიუხედავად ორჯელ და სამჯერ წამლობისა, მილდიუ მოედო და ყურძენი სცვივა.

ფილოქსერა ძალიან მოედო ვენახებს და აზიანებს. წინათ მარტო ჩვენი სოფლის ბოლო ვენახებში იყო, წელს კი თვითონ სოფლის ვენახებსაც მოედო და ძალიანაც გააფუჭა.

გოგირდი და შაბი საკმაოდ იშოვნება ბაზარზე, მაგრამ ბევრს მევენახეს უძნელდება შეძენა სიძვირის გამო — ფუთი გოგირდი ღირს 950 მან. — 1200 მანეთამდე. და ყვითელი კარგი გოგირდი კი მეტიც.

შაბი კოოპერატივში 850 მანეთად ფასობს. ხშირია ძალიან შემთხვევა, რომ ფუთს გოგირდში აძლევენ 3 ფუთს პურის ხორბალს, ან 3 ჩაფს ღვინოს ახალ მოსავლისას, თორემ ძველი მოსავლისასაც, ვისაც ძალიან უჭირს გოგირდი. მუშა ფასობს თვის აპარატით და მევენახის ხარჯით 350 მან., მევენახის აპარატით 200 მან., აპარატის ქირა 100 მ. — 150 მანეთამდეა.

ძვირია ძალიან აპარატის ნაწილები: ძირითა რეზინი აპარატისა ფასოფს არანაკლებ 350 მანეთისა; ეხლა წამლობა რომ მისუსტდა იყიდება 350 მან; თორემ წინათ 450 მანეთზედ მეტად ღირდა.

დედაკაცი — ამხვევი ფასობს 80 — მან. 100 მან. თავის ხარჯით.

საპალნე ღვინო იყიდება 28,000—30,000 მანათად.

სეტყვა იყო ამ ერთი თვის წინათ და, რადგანაც ქარი არ ჰქროდა, ვენახები ბევრით არაფრათ დააზარალა.

დიმ. აზაური კოზმანიშვილი.

— · —

კონდოლი. საერთო მიმოხილვა ვენახებისა სოფელ კონდოლში და მის ახლო მახლო ასეთია: როგორც მოგვეხსენებათ კახეთში დიდძალი ადგილები დაისეტყვა და გაფუჭდა, როგორც სხვა და სხვა ნაოესები ისე ვენახებიც.

13 კათათვეს კარგა მგრძნობიერმა სეტყვამ გადმოიარა გულგულა ახატელი, ჯურდღელაური, კონდოლი და წინანდალი, ზოგი ადგილები ნამეტნავად დაშავდა. ყანები სულ მთლათ მოსპო და ვენახები, როგორც ცოტა ზევით მდებარე, გაანახევრა.

სეტყვის შემდეგ ზოგმა მეორედ უწამლა ვაზებს. ყურძნის ტოტებს ძალიან საგრძნობელი ზარალი არ მიაყენა, რადგანაც უკვე შებურული იყო.

ძალიან საგრძნობლათ არის გავრცელებული ვაზის ავადმყოფობანი: მილდიუ და ნაცარი. წინააღმდეგ ამისა რიგიანათ ნაწამლი ზოგიერთი ვენახები ძალიან კარგი სასიამოვნო სანახავია. ზოგიერთ ადგილს კახეთში წელს მცირე მოსავალი მოვა, ბევრათ ნაკლები ვიდრე წასულს 1919 წელს.

რაკი ხალხი ყანებში გავიდა სამუშაოთ, ვენახებს მუშახელი ძალიან დაეკლდა. ფასები მუშისა დამქირავებელის ხარჯით დღეში 400-500 მანეთი იყო. წარსული წლის გასასყიდი ღვინოები არსად აღარ არის. მთხოვნელი კი ბევრია. ვედრო ღვინო თელავში ღირს 1000—1200 მ.

ზოგიერთა საქმელ ყურძენს უკვე თვალი შეუვიდა. ამინდები 20 მკათათვის აქეთ კარგია, წვიმები სამყოფოთ იყო და თავთავის დროზედ. ყურძნის ტოტები რიგზედ იწევა, ისე რომ სამემრისოთ მოსავლის იმედი უნდა გვქონდეს ყურძნისა.

შემჩნეული მაქვს რომ ყოველ 4-5 წელში ერთი ან ორი წელიწადი ზედი ზედ მოუსავლიანია და ობეულების მხრით დიდათ დაზარალებული, როგორც: 1900—10 წ., 1914—15 წ. და ეხლაც 1919—20 წელიწადები. დანარჩენი წლები მშრალებია და ყურძნისთვის ხელსაყრელი.

კახეთში ბევრს ალაგს არსებული სეტყვის საწინააღმდეგო მორტირების სადგურები საერთოდ სდუმან, არ ვიცი, მართლა ყველგან წამლის უშოვნელობის გამო, თუ ყველას მის სარგებლიანობაში რწმენა დაეკარგა. მე კი პირადათ ისევ ძლიერად მწამს მათი ძალა და მნიშვნელობა. მართალია, ბევრჯელ თვითონ მორტირები სეტყვით აივსება ხოლმეო, მაგრამ ბევრჯერაც გადარეკავს ღრუბლებს და, თუ ათს წელიწადში ორჯელ ან სამჯერ ბუნების ძალა ადამიანის ხელოვნების ძალას აჯობებს, ეს არაფრაო უნდა ჩაითვალოს. ბუნებასთან საბრძოლველად ჩვენ შეგვიძლიან უდიდესი ძალა შევქმნათ, თუ რომ მთელი კახეთის სოფლები ერთად მოისურვებენ და ბევრს ალაგას გამართავენ მორტირების სადგურებს. ამასთანავე სასარგებლოთ მიმაჩნია

თვით ცივზედაც დაიდგას მორტირები პირველ დაწყებითი ღრუბლების გასაქარწყლებლათ, სანამ ისინი პატარა და უმნიშვნელონი არიან.

სეტყვის წინააღმდეგ მორტირებით ბრძოლის რწმენის დაკარგვა—შემცდარი აზრია.

ა. ლიონიძე.

ს. კონდოლი, ენკენისთვე. მარიამობისთვის ნახევრიდგან ძალიან წვიმებია, ისე რომ ბევრს კალოები გასალეწი რჩება და ზედ ძნებზედ ჯეჯილები ამოვიდა. წვიმებს ზედ მოსდევს ხშირად სეტყვაც. ჯერ ქვემო ხოდაშენის თავი დაისეტყვა, ეხლა ამ ენკენისთვის 5-ში ღამით დასეტყვილა დიდი რაიონი: სანიორე, ნაფარეული, შაქრიანი, ენისელი, გრემი, შილდა და ცოტა თავზედ გადუვლია ყვარელში. უდიდესი ზარალი მიუყენებია როგორც ვაზისთვინ ისე ახალ ნათეს სიმინდებისთვინ, რომელიც მაისის სეტყვის შემდეგ განადგურებულ ყანების მაგიერ დათესეს. ამ სიმინდების დიდი იმედები ჰქონდათ, მაგრამ გაუცრუვდათ. შილდიდან მოსულმა სთქვა, რომ ისეთი ღრიალი ისმის ყველა სახლიდგან, თითქოს ცხენდარი ედოთო. სანიორეში ეტყობა სეტყვასთან ერთად გრიგალიც ყოფილა, რომ სულ დაუმტვრევია ძირში მთელი სიმინდები და ხეები.

ყურძნის მოსავალი ისეთი მცირეა წელს, რომ ბევრს ალაგს სეტყვაც რომ არა ყოფილიყო, მაინც აოაფერი მოვიდოდა. ვენახებს გაფუჭება ისე შეუჩნევლად შეეპარა, რომ თვით პატრონებმა ძლივს გაიგეს. და გაიგეს მხოლოდ ამინ, როცა ერთს ორს კვირაში მილდიუ, ნაცარმა და გვალვამ უცბათ, ჩუმათ მოსპო ყურძენი. რაც მილდიუს გადარჩა, ნაცარმა მოუღო ბოლო. ამ წვიმებზედ გვალვის მერე ყურძენი ძალიან მობრუნდა, მაგრამ რომელიც კი ნაცრიანია, სულ ისე სკდება რომ მთლათ ისპობა. წმინდა ყურძენი კი ძალიან კარგია და საშინლათ მატულობს მარცვალი, მტევანი სულ გაიჭედა.

ეს ნაცარი გავრცელდა ამ ზამფულის ბოლოს; ახალ ამოყრილ ფოთლებზედ ისე გადაედო, დაიჩითა, როგორც თოვლი დადებული. შემდეგ აქედან გადავიდა ყურძენზედ, როცა მოწევაში შევიდა. ჩვენში გავრცელებულია აზრი, ვითომ მოწევის დროს ნაცარი ყურძენს ვერას ავნებს, და ერთი ორი კარგი წვიმის შემდეგ სულ გადარეცხამსო. ამით მოტყუვდნენ ბევრნი, რომელნიც მუშაობას და გოგირდის დახარჯვას დაკარგულათ სთვლიდნენ.

მარიამობისთვიდან ძლივს ისვენებს ჩვენი ვენახის მუშა-მეზვრე კაცი. ისეთი საშური საქმე აღარა აქვს რა ვენახში, არც იმდენად ბევრი მუშა-ღა სჭირდება და მათი შეხვეწნა. ეხლა ვაზებს მეორეთ თავს აჭრის, ხშირს ფოთოლს აცლის, ასინათლებს, ყურძენს მოწევისთვის სთიბავს, ღობავს და ემზადება მოწეული ყურძნის საყარაულებლად. ბევრს თავისი ნამუშავარის შედეგის დამთავრება—რთველის იმედი ახარებს, უმეტესი ხალხი კი ძლიერ დაღონებული შეჰყურებს თავის დაკარიელებულს ვაზებს.

ღვინის ფასები ზღაპრულათ გადაიქცა: 60—70 ათას მანეთად ამბობენ საპანეს. აგრეთვე აფასებენ ახალს ტკბილსაც, იმედოვნებენ, რომ 100.000 მანეთზედ ზევით აიწევსო საპანე.

სასურველია ეხლავე წამლეულობის შეძენა და დამზადება საშემრისოთ.

ა. ი. ლეონიძე.

კოოპერატიული საზოგადოება

„კახეთი"

საზოგადოება „კახეთი" არსებობს 1895 წლიდან და ამ ჟამად 246 მეგვნახე ითვლება წევრად. საზოგადოება „კახეთი"-ს წევრობა შეუძლიან ყველა კახელ მეგვნახეს და აგრეთვე ყველა მას, ვინც-კი ჩაბარებს საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს ეოველ წლიგ.

მთავარი კონტორა საზოგადოება „კახეთი"-სა მოთავსებულია თბილისში, დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5, ტელეფონი № 13—23, ხოლო სარდაფი ბოგოლის ქუჩაზე № 63, საკუთარ შენობაში. ტელეგრაფით მისამართი: თბილისი კახეთი.

საზოგადოება „კახეთი"-ს მთავარი საწყობები კახეთში ორ ადგილს არის მოწყობილი: თელავში „კახეთი"-ს ბიურო ალექსანდრე მაყაშვილთან და კარდანახში, „კახეთი"-ს ბიურო ნიკოლოზ დარაშვილთან.

სტამბა ქართული ბეჭდითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26.